

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

17 მარტი 2020 წელი

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე,

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა ძაგნიძე, გია ხარაბაძე,
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენის :

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

მომხსენებელმა ივანე მამფრიამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია 2020 წლის 25 თებერვალს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული N 320211-63 დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სკოლების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 192,5 ათასი ლარის გამოყოფამ. (დანართი ოქმს თან ერთვის)

დანართი N2

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 11

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე